

სოფლის მეურნეობის მეურნეობის ზოგადი მიმოხილვა

სამცხე-ჯავახეთი აგრარული რეგიონია. ისტორიულად სოფლის მეურნეობა უდიდეს როლს ასრულებდა რეგიონის განვითარებაში. მას შემდეგ, რაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქალაქში დასახლდა და მის ცალკეულ რეგიონებში განვითარდა მრეწველობის ესა თუ ის დარგი, სოფლის მეურნეობა მაინც წამყვან დარგად დარჩა სამცხე-ჯავახეთისათვის. უფრო მეტიც, კიდევ უფრო მეტად გაიზარდა რეგიონის ამ კუთხით "დატვირთვა", ვინაიდან რეგიონის სოფლის მეურნეობა არა მარტო პროდუქტებით ამარაგებდა ქალაქის მოსახლეობას, არამედ ასევე უზრუნველყოფდა მრეწველობის არაერთ დარგს საჭირო ნედლეულით.

საბჭოთა პერიოდში სოფლის მეურნეობის მაღალმა სპეციალიზაციამ მეტად უარყოფითად იმოქმედა მთელ რიგ დარგებზე. პრიორიტეტული დარგების (მეჩაიობა, მეციტრუსეობა, მევენახეობა, მეხილეობა, ზოგიერთი ტექნიკური კულტურების მეურნეობა), მცირემიწიანობის ფონზე, მეტად უარყოფითად იმოქმედა სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებზე, როგორცაა მარცვლეულის მეურნეობა და მეცხოველეობა [ჯაომვილი, 1996]. ეს აისახა სამცხე-ჯავახეთის სოფლის მეურნეობაზეც.

ამჟამად სამცხე-ჯავახეთში წარმოებული მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) ყველაზე დიდია სოფლის მეურნეობის წილი. მასზე მოდის მშპ-ს 49 %. დიდია მისი წილი ასევე მთლიან დამატებით ღირებულებაში (32 %). ეს მაჩვენებელი 2006-2011 წლებში საშუალოდ 33 %-ს შეადგენდა და რეგიონის სხვა დარგებსა და დანარჩენი რეგიონების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით ყველაზე მაღალი იყო [სამცხე-ჯავახეთის რეგიონის..., 2013].

ამასთან დარგში დასაქმებულია ადამიანური რესურსების უდიდესი ნაწილი. მხარეში დაახლოებით 60,000-მდე კომლია, რომელთაც საკუთარი მეურნეობა აქვთ. ყველაზე მრავალრიცხოვანია ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სადაც 18 ათასზე მეტი კომლია. 10 ათასზე მეტიკომლია ახალციხის, და თითქმის ამდენივე – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში. ყველაზე მცირე რიცხოვანი (5 ათას კომლზე ნაკლები მხოლოდ ასპინძის მუნი-ციპალიტეტია.

ამრიგად, რეგიონის სოფლის მეურნეობა ძირითადად წარმოდგენილია შინამეურნეობებით, სადაც პროდუქციის წარმოების 90 %-ზე მეტია კონცენტრირებული (კომერციული მეურნეობებით). მათი 73 % სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებს, ხოლო დანარჩენი 27 %-თვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. ამასთან, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის კომერცი-ალიზაციის დონე ქვეყნის მასშტაბით, სოფლის მეურნეობის კომერციალიზაციის მაჩვენებელზე მაღალია [სამტსკჰე-ჯავაკჰეტი.გოვ.გე].

საქართველოს მთიანი რეგიონების ფონზე, სამცხე-ჯავახეთი შედარებით კარგადაა უზრუნველყოფილი ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო რესურსებით [ჯაო-

შვილი, 1996]. ასეთი ვითარება შენარჩუნებულია დღევანდლამდე. მიწის ფონდში ყველაზე დიდი ადგილი (თითქმის 70 %) მოდის საძოვრებზე.

საძოვრების ფართობების მიხედვით, მუნიციპალიტეტებს შორის ამკარად ლიდერობს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი. მის წილად მოდის რეგიონის საძოვრების საერთო ფართობის თითქმის 1/3 (ცხრ. 3.12). ამ თვალსაზრისით მოწინავე კიდევ ორ მუნიციპალიტეტთან (ახალქალაქის, ასპინძის) ერთად კი, მათზე მოდის რეგიონის საძოვრების საერთო ფართობის თითქმის 70 %.

საძოვრები მხოლოდ წლის თბილ პერიოდში გამოიყენება (ზაფხულის საძოვრები) და არც მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩევა [ჯაომშვილი, 1996]. ჭარბი ძოვების ფონზე, კი კიდევ უფრო გაუარესებულია საძოვრების მდგომარეობა (დასარეველიანება, ნიადაგების ეროზია).

უკანასკნელ წლებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები მცირედ ზრდის ტენდენციას განიცდის. 2009-2012 წლებში ზრდამ თითქმის 20 % შეადგინა. თუმცა 2013 წლიდან კლების ტენდენცია შეინიშნება. დამუშავებისათვის ვარგისი მიწების უდიდესი ნაწილი მოდის ჯავახეთის პლატოზე.

სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები

სამცხე-ჯავახეთის სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებებია: მემცენარეობა (მეკარტოფილეობა, მებოსტნეობა, მარცვლეული კულტურები, მეხილეობა), მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, საკვები კულტურების წარმოება. მემცენარეობა და მეცხოველეობა თითქმის თანაბრადაა წარმოდგენილი.

მემცენარეობა

მემცენარეობა სამცხე-ჯავახეთში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დარგია. მისდევენ კარტოფილის, მარცვლეულისა და ბოსტნეულის წარმოებას. ამასთან, რეგიონის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია მოკლე სავეგეტაციო პერიოდი. სოფლის ინფრასტრუქტურის კვლევის შედეგების მიხედვით, ად რეული წაყინვის შემთხვევები რეგიონში ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად მაღალია.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ერთწლიანი კულტურების ნათესი ჯამური ფართობი 2000-2011 წლების პერიოდში კლებას განიცდიდა. 2013 წლის მონაცემებით, ერთწლიანი კულტურების ნათესებზე მოდის საქართველოს ნათესი ფართობების საერთო რაოდენობის 8 %. თითქმის ანალოგიური ტენდენციაა დამახასიათებელი ქერის ნათესების დინამიკისათვისაც. თუმცა ქერის მოსავლიანობის მიხედვით, იგი ლიდერობს საქართველოში. 2011-2013 წლებში ქერის საშუალო მოსავლიანობა შეადგენდა 1.5-2.0 ტ/ჰა-ს, მაშინ როცა საქართველოს საშუალო მაჩვენებლები არ

ადმატებოდა 1.3-1.9 ტ/ჰა-ს. ლობიოს ნათესი ფართობებით სამცხე-ჯავახეთი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ლობიოს მწარმოებელ სხვა რეგიონებს (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი), თუმცა ლობიოს საშუალო მოსავლიანობით იგი კვლავ ლიდერობს. თუმცა ამავე წლებში მისი მოსავლიანობა შემცირდა 2-დან 6 ტ/ჰა-მდე. ლობიოს მოსავლიანობის ასეთი მკვეთრი შემცირება საქართველოს არცერთ რეგიონში არა დაიკვირვება (ფიქსირდება).

მარცვლოვანი კულტურები საკმაოდ მნიშვნელოვანია. რეგიონის წილი ქერის წარმოებაში – საშუალოდ შეადგენს 42 %-ს, ხოლო ნათესი ფართობი – 35 %-ს. ამ კულტურის საშუალო მოსავლიანობაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე 18 %-ით მაღალია. თუმცა, რეგიონში მარცვლოვანი კულტურებით ნათესი ფართობი და მასთან დაკავშირებით მოსავლის მოცულობა კლების ტენდენციით ხასიათდება.

სამცხე-ჯავახეთში კლებადობით ხასიათდება ერთწლიანი ბალახების წარმოება. ეს გამოწვეულია, როგორც ნათესი ფართობის, ისე მოსავლიანობის შემცირებით. მრავალწლიანი ბალახების წარმოება, ერთწლიანი ბალახებისგან განსხვავებით, ნაკლები შემცირებით ხასიათდება.

მემცენარეობაში პირველი ადგილი უკავია კარტოფილს. ქვეყანაში კარტოფილის წარმოების მნიშვნელოვანი წილი სწორედ სამცხე-ჯავახეთზე მოდის, რაც კარტოფილით ნათესი ფართობის სიდიდითა (ქვეყანაში ამ კულტურით დაკავებული ფართობის 52 % - 2011; 47 - 2013) და რეგიონში მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გაზრდით (ქვეყნის საშუალო მოსავლიანობაზე, საშუალოდ 22 %-ით მაღალი) იქნა მიღწეული (ცხრ. 3.13). აქ აწარმოებენ საგვიანო ჯიშის კარტოფილს. მესხეთშიცაა გავრცელებული კარტოფილი, თუმცა აქ ასევე ფართოდაა გავრცელებული თავთავიანი კულტურები და სიმინდი.

მრავალწლიანი კულტურები

მრავალწლიანი კულტურების მოყვანა ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი საქმიანობა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისათვის. განსაკუთრებით კი – მეხილეობა და მევენახეობა. თუმცა უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე წამყვანი პოზიცია უფრო მეხილეობამ დაიკავა. მრავალწლიანი ნარგავები რეგიონში მხოლოდ ახალციხის ქვაბულშია გავრცელებული.

2009-2011 წლების მანძილზე ხილის წარმოება მნიშვნელოვნად არის შემცირებული (შემცირებამ შეადგინა 2,4 %). 2012 წელთან შედარებით, 2013 წელს მისი წილი გაზრდილია თითქმის 38 %-ით (5.1-დან 8 ატ. ტ-მდე). ეს შემცირება უმთავრესად მოდის თესლოვან ხილზე, განსაკუთრებით ვაშლზე (2013 წელს, 2009 წლის წარმოების მხოლოდს 1/3-ია).

მეცხოველეობის დარგები

სამცხე-ჯავახეთი მეცხოველეობის ერთ-ერთი ძირითადი რეგიონია საქართველოში. სამცხე-ჯავახეთის მნიშვნელოვანი წილი აქვს მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის წარმოებაში – ქვეყნის საერთო რაოდენობიდან დაახლოებით 8-17 %

მოდის რეგიონზე. წველადობის საშუალო მაჩვენებელი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე დაახლოებით 15 %-ით მაღალია.

რეგიონში კონცენტრირებულია ქვეყანაში არსებული პირუტყვის მთლიანი სულადობის დაახლოებით 9-14 %.

1990-იან წლებამდე სამცხე-ჯავახეთში საკამოდ მაღალი იყო მსხილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა. ის არსებობდა სახელმწიფო ფერმებსა და სოფლის მოსახლეობის პირად საკუთრებაში. ამჟამად კი მსხილფეხა პირუტყვი რქოსანის სულადობა ძალზეა შემცირებული და ისინი მხოლოდ სოფლის მოსახლეობის პირად საკუთრებაში არსებობს. ამან შეამცირა ზეწოლა საძოვრებზე.

უკანასკნელ წლებში შესამჩნევია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის ზრდის ტენდენცია ნინოწმინდის, ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებში. განსაკუთრებით მკვეთრი ზრდაა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. თუმცა სულადობა შემცირებულია ბორჯომის მუნიციპალიტეტში (500 სულით).

2000-2013 წლების მანძილზე შეიმჩნევა მსხვილფეხა პირუტყვის ზრდის, ხოლო ცხვრის სულადობის შემცირების ტენდენცია. მსხვილფეხა პირუტყვის სულადობამ მოიმატა 1.5-ჯერ, ხოლო ცხვრის სულადობა შემცირდა – 1.5-ჯერ.

ცხვრისა და თხის სულადობა გამოირჩეოდა ნაკლები ცვალებადობით ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის (2000 სულით) მუნიციპალიტეტებში, ხოლო მნიშვნელოვანი შემცირებით დანარჩენ მუნიციპალიტეტებში (ბორჯომი – 3000 სულით). ღორების სულადობა გაცილებით მეტია ახალციხის მუნიციპალიტეტში. მათი რაოდენობა თითქმის 2-ჯერ მეტი იყო 2010 წელთან შედარებით.

რეგიონში კონცენტრირებულია ქვეყანაში არსებული ფუტკრის ოჯახების მთლიანი სულადობის – დაახლოებით 10 % (ცხრ. 3.16). საინტერესოა, რომ 2000-2013 წლებში საქართველოში ადგილი ჰქონდა ფუტკრის სკების საერთო რაოდენობის ზრდას. იგივე ტენდენცია დაიკვირვება სამცხე-ჯავახეთშიც. თუმცა ზრდის ტემპებით რეგიონი ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. საქართველოში ფუტკრის სკების რაოდენობა გაიზარდა 4-ჯერ, ხოლო სამცხე-ჯავახეთში – 3-ჯერ.

ფრინველისა და ფუტკრის ოჯახები ძირითადად კონცენტრირებულია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.